


ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური

2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა	11
2 შედგენის საფუძველი	11
2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე	11
2.2 შეფასების საფუძველი	11
2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	11
2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება	11
2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების დანერგვა	12
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	13
3.1 უცხოური ვალუტა	13
3.2 ძირითადი საშუალებები	13
3.3 არამატერიალური აქტივები	14
3.4 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება	14
3.5 იჯარა	14
3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები	15
3.7 ფინანსური ინსტრუმენტები	15
3.8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	18
3.9 კაპიტალი	18
3.10 მოგების გადასახადი	18
3.11 შემოსავალი	18
4 ძირითადი საშუალებები	20
5 აქტივების გამოყენების უფლება	21
6 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	21
7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	22
8 კაპიტალი და რეზერვები	22
8.1 საწესდებო კაპიტალი	22
9 სესხები	22
10 იჯარა	24
11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
12 საპროცენტო ხარჯები	25
13 მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	25
14 მოგების გადასახადის ხარჯი	25

15	მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები	25
15.1	მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები	26
16	ფინანსური ინსტრუმენტები	26
16.1	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	26
16.2	ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	26
17	ფინანსური რისკის მართვა	27
18	სამართლიანი ღირებულებით შეფასება	30
18.1	ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება	31
19	კაპიტალის რისკის მართვა	31
20	გაუთვალისწინებელი გარემოებები	31
20.1	დაზღვევა	31
20.2	გადასახადები	31
20.3	ბიზნეს გარემო	32
21	ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია	32
22	დაკავშირებული მხარეები	33
22.1	საკონტროლო ურთიერთობები	33
22.2	დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები	33
22.3	ოპერაციები ხელმძღვანელობასთან	33
23	შემდგომი მოვლენები	34
23.1	შერწყმა	34
23.2	რუსეთ-უკრაინის ომი	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს “ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის” მფლობელს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს “ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის”(“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, ამავე პერიოდის დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისათვის, მის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (“ასს”). ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”.

ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებლობა ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი (“IESBA Code”). ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

მმართველობითი ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე მომზადდა მენეჯმენტის მიერ, მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის

დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს კომპანიის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯასა და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლო თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.

- ვერკვევით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ოპერაციები და მოვლენები.

მმართველობითი უფლებამოსილებით ადჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

შპს გრანტ თორნტონ საქართველო

ვახტანგ ცაბაძე,

მმართველი პარტნიორი,

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის # - SARAS-A-774309)

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი 2022



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021 წელი	31 დეკემბერი 2020 წელი
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4	1,639,324	1,385,942
არამატერიალური აქტივები		5,500	7,256
აქტივების გამოყენების უფლება	5	-	1,335,441
		1,644,824	2,728,639
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		389,985	421,960
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	6,724,771	3,621,942
ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	7	2,693,854	1,640,368
		9,808,610	5,684,270
სულ აქტივები		11,453,434	8,412,909
კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>			
საწესდებო კაპიტალი	8	39,277	39,277
აკუმულირებული მოგება		10,399,639	5,117,065
		10,438,916	5,156,342
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
სესხები	9	41,547	36,560
		41,547	36,560
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	972,635	1,956,046
საიჯარო ვალდებულება	10	-	1,244,577
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		336	19,384
		972,971	3,220,007
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,453,434	8,412,909

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 29 სექტემბერს:

ზურაბ ქიტოშვილი
უფლებამოსილი წარმომადგენელი

ზემფირა ზაქარეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021 წელი	31 დეკემბერი 2020 წელი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,639,324	1,385,942
არამატერიალური აქტივები		5,500	7,256
აქტივების გამოყენების უფლება	5	-	1,335,441
		1,644,824	2,728,639
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		389,985	421,960
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	6,724,771	3,621,942
ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	7	2,693,854	1,640,368
		9,808,610	5,684,270
სულ აქტივები		11,453,434	8,412,909
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	8	39,277	39,277
აკუმულირებული მოგება		10,399,639	5,117,065
		10,438,916	5,156,342
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	41,547	36,560
		41,547	36,560
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	972,635	1,956,046
საიჯარო ვალდებულება	10	-	1,244,577
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		336	19,384
		972,971	3,220,007
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,453,434	8,412,909

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 29 სექტემბერს:

ზურაბ ქიტოშვილი
უფლებამოსილი წარმომადგენელი



შემფირა ზაქარეიშვილი
მთავარი ბუღალტერი



თანდართული შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან		21,212,959	10,730,791
შემოსავალი ქვე-იჯარიდან		12,790	10,624
სხვა შემოსავალი		152,483	87,896
სულ შემოსავლები		21,378,232	10,829,311
სხვა საოპერაციო შემოსავალი		13,733	25,325
ხელფასის ხარჯი (საავადმყოფო)		(5,885,059)	(3,975,683)
ხელფასის ხარჯი		(693,682)	(571,033)
სამედიცინო ინვენტარი და მასალები (საავადმყოფო)		(5,401,540)	(2,625,433)
საიჯარო ხარჯები (საავადმყოფო)		-	(267)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,056,622)	(2,170,511)
კომუნალური ხარჯი		(632,395)	(400,999)
სანიტარიის და ჰიგიენის ხარჯი (საავადმყოფო)		(315,248)	(392,442)
სამედიცინო ჟანგბადის ხარჯი (საავადმყოფო)		(232,089)	(75,714)
კონსულტაციის და სხვა მომსახურების ხარჯი		(23,571)	(3,550)
საკანცელარიო და საოფისე ხარჯი		(37,198)	(39,974)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(3,983)	(20,473)
საკომუნიკაციო ხარჯი		(10,764)	(10,957)
რეკლამის ხარჯი (საავადმყოფო)		(7,840)	(8,095)
წარმომადგენლობითი ხარჯი		(4,372)	(695)
საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა		(336,059)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები (საავადმყოფო)		(85,012)	(38,388)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(182,431)	(23,352)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		5,484,100	497,070
საპროცენტო ხარჯი	12	(113,569)	(276,941)
მოგება ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	13	(87,620)	51,215
მოგება დაბეგვრამდე		5,282,911	271,344
მოგების გადასახადის ხარჯი	14	(337)	(30,531)
პერიოდის მოგება		5,282,574	240,813
მთლიანი მოგება საანგარიშგებო წლისთვის		5,282,574	240,813

თანდართული შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ
31 დეკემბერი, 2019 წელი	39,277	4,876,252	4,915,529
წლიური მოგება	-	240,813	240,813
სრული შემოსავლები	-	240,813	240,813
31 დეკემბერი, 2020 წელი	39,277	5,117,065	5,156,342
წლიური მოგება	-	5,282,574	5,282,574
სრული შემოსავლები	-	5,282,574	5,282,574
31 დეკემბერი, 2021 წელი	39,277	10,399,639	10,438,916

თანდართული შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი შემოსავლები პაციენტებიდან		636,782	1,160,451
ფულადი შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან		21,016,450	9,488,002
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(9,833,761)	(3,208,953)
თანამშრომლებისათვის გადახდილი თანხები		(5,094,533)	(3,445,215)
გადახდილი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა		(1,380,734)	(801,166)
გადახდილი მოგების გადასახადი		(19,386)	(12,571)
გადახდილი იჯარა		(1,327,800)	-
სხვა გადახდები		(218,775)	(37,466)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,778,243	3,143,082
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(301,145)	(107,771)
წინასწარ გადახდები სამედიცინო აღჭურვილობისათვის		(988,134)	(66,662)
წმინდა გამოყენებული ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობისთვის		(1,289,279)	(174,433)
ფული საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	21	1,000,050	318,650
სესხების დაფარვა	21	(1,000,050)	(778,644)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	21	(1,244,577)	(1,732,271)
გადახდილი პროცენტი (სესხები)	21	(25,359)	(47,772)
გადახდილი პროცენტი (იჯარა)	21	(83,223)	(227,729)
წმინდა გამოყენებული ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობისთვის		(1,353,159)	(2,467,766)
სახსრების წმინდა ზრდა			
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში		1,135,805	500,883
ვალუტის კურსთაშორის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		1,640,368	1,074,287
		(82,319)	65,198
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს		2,693,854	1,640,368

თანდართული შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს “ამტელ ჰოსპიტალი პირველი კლინიკური” დაარსდა 2011 წლის 5 ნოემბერს. კომპანია მთლიანად არის ამტელ ჰოლდინგ სინგაპურის (Amtel Holdings Singapore Pte LTD, Singapore) მფლობელობაში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სამედიცინო კლინიკის ფუნქციონირება, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების სრულ პაკეტს ნებისმიერი დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის, როგორც სტაციონალურ, ასევე ამბულატორიულ განყოფილებაში. კლინიკის დეპარტამენტები მოიცავს სხვადასხვა პათოლოგიების დიაგნოსტიკას და მკურნალობას მაღალტექნოლოგიური სამედიცინო აღჭურვილობისა და ტექნიკის გამოყენებით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აკონტროლებს Amtel Holdings Singapore Pte Ltd, რომელიც ფლობს კომპანიის აქციების 100%-ს. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები არიან სუდირ გუპტა და დანიელ გუფთა.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, კომპანია მიეკუთვნება მე-2 ზომითი კატეგორიის კომპანიებს.

კომპანიის იურიდიული მისამართია წინანდალის ქუჩა 9, ისანი-სამგორის რაიონი, თბილისი, საქართველო.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე (“ბასს”) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდისა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში (თუ სხვა რამ არ არის მითითებული) და მთლიანი ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია დამრგვალებულად ერთეულ ლარში.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც

გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის წარდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდისთვის ნაჩვენებ შემოსავლების და ხარჯების თანხებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-15 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების დანერგვა

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა ("IASB") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს ("IFRIC") მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახდილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშგო პერიოდისთვის დაწყებული 2021 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილებების არსი და გავლენა განხილულია ქვემოთ:

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის დაწყებული 2021 წლის 1 იანვრიდან

ახალი სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც განხილულია ქვემოთ, პირველად შემოღებულ იქნა 2021 წელს. მათ არ აქვთ მატერიალური ზეგავლენა კომპანიის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

სტანდარტი	სტანდარტის ან ინტერპრეტაციის აღწერა
სხვადასხვა	საპროცენტო განაკვეთის შეფასების ეტაპი 2 (ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 16-ში, ფასს 4-ში, ფასს 7-ში)

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გაიცა რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია მანამდე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადების მიღება მოხდება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის პირველი პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან, ან მას შემდეგ.

მენეჯმენტი არ ითვალისწინებს ქვემოთ მოცემული სტანდარტებითა და დამატებებით გამოწვეულ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია	ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის ან შემდგომ
ფასს 16	COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 30 ივნისი 2021	1 აპრილი 2021
ფასს 3	მითითებები კონცეპტუალურ ჩარჩოზე (ცვლილებები ფასს 3-ში)	1 იანვარი 2022
ბასს 16	შემოსავალი მიზრობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები)	1 იანვარი 2022
ბასს 37	მავალდებულებელი კონტრაქტები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯები (ბასს 37-ის ცვლილებები)	1 იანვარი 2022
ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16	ფასს-ის 2018-2020 წლების ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება (შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ბასს 41-ში, ფასს 16-ში)	1 იანვარი 2022

ფასს 17	სადაზღვევო ხელშეკრულებები	1 იანვარი 2023
ფასს 4	ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების გაგრძელება (ცვლილებები ფასს 4-ში)	1 იანვარი 2023
ფასს 17	ფასს 17-ისა და ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენება - შედარებითი ინფორმაცია (ცვლილებები ფასს 17-ში)	1 იანვარი 2023
ბასს 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი (ცვლილება ბასს 1-ში)	1 იანვარი 2023
ბასს 12	ერთი ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი აქტივებისა და ვალდებულებების გადავადებული გადასახადი (ცვლილება ბასს 12-ში)	1 იანვარი 2023

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, გარდა ფუნქციონალური ვალუტისა, გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ოპერაციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევროსთვის 3.5040 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.2766 ლარი და ერთი ევრო 4.0233 ლარი). არაფულადი ერთეულები არაა გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მისი აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღრიცხვა ოპერაციების დღეს არსებული კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღისთვის არსებული კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან აღიარების შეწყვეტიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწევისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება

მას მერე, რაც აქტივი შედის ექსპლუატაციაში. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგნაირად ნაწილდება:

სამედიცინო აღჭურვილობა და დანადგარები	- 5-20 წელი
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	- 2-10 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, ბალანსში წარდგენილია აკუმულირებული ამორტიზაციისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის თანხით შემცირებული თვითღირებულებით.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 5-6 წლის განმავლობაში და ამორტიზაცია აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.5 იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია განიხილავს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარა განისაზღვრება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს აქტივის კონტროლის უფლების გადაცემას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იჯარის აღიარება და შეფასება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით

ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით) კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

კომპანია, როგორც მეიჯარე

როგორც მეიჯარე კომპანია ახდენს იჯარის კლასიფიკაციას. იჯარა შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც საოპერაციო ან როგორც ფინანსური.

3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელმძღვანელო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ხარჯი
- რეალური ღირებულება მოგება- ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

კლასიფიკაცია განსაზღვრულია ორივე კრიტერიუმით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი გამოყენებული ფინანსური აქტივის მართვისთვის
- ფინანსური აქტივის სახელმძღვანელო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯით, ფინანსური შემოსავლით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილია კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 16.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელმძღვანელო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელმძღვანელო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“ (ECL). ფასს 9-ის მოთხოვნების ფარგლებში შემავალი ინსტრუმენტები მოიცავს სესხებს და სხვა ვალის ტიპის ფინანსურ აქტივებს, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), სავაჭრო მოთხოვნებს, სახელმძღვანელო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამოიყენა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (ფაზა 1), და
- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (ფაზა 2).

ფაზა 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელმეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელმეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელმეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულებების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ისინი ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ფინანსურ საიჯარო ვალდებულებებს. კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 16.2 შენიშვნაში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯების გამოკლებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ხელზე არსებულ ნაღდ ფულს, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ტრანზიტულ (ფული გზაში) ფულად ნაკადებს.

3.9 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალებს.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

ახალი მოდელის (ესტონური მოდელი) მიხედვით, რომელიც ეფუძნება საქართველოში 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო - 15%-ით დაიბეგრება დივიდენდ განაწილებული მოგება. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ოპერაციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება. ამ შემთხვევაში გასანაწილებელი მოგების თანხა იბეგრება 15/85-ის ტოლი ტარიფით.

2016 წლამდე დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებაზე, 2017 წელს გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდი, იბეგრება მოგების გადასახადით წინა წლების მოდელის მიხედვით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად ბასს 12-ის მიხედვით, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

3.11 შემოსავალი

შემოსავლის აღიარებისათვის კომპანია მიყვება შემდეგ 5-ეტაპიან პროცესს:

1. მომხმარებელთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
2. შესასრულებელი ვალდებულების იდენტიფიცირება
3. ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
4. ტრანზაქციის ფასის გამოყენება შესასრულებელი ვალდებულებისთვის
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილდა

შემოსავალი აღიარდება ან დროის კონკრეტულ მომენტში ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს შეპირებული საქონლის გადაცემით, ან მომსახურების გაწევით მომხმარებლისათვის.

შემოსავალი სამედიცინო/ჯანდაცვის სერვისებიდან

24 საათის განმავლობაში (სასწრაფო დახმარების) საავადმყოფოში ყოფნის სტაციონარულ მომსახურებასთან დაკავშირებული შემოსავლები აღიარებულია პაციენტის სამედიცინო ჩანაწერის დახურვის დღის მიხედვით.

შემოსავლები პაციენტებიდან, რომელთა მომსახურება 24 საათზე მეტ ხანს გრძელდება, აღიარდება შემდეგნაირად:

- i. ინდივიდუალური პაციენტების მიერ დაფარული მკურნალობის ღირებულება აღიარებულია შემოსავლის სახით, როდესაც სამედიცინო მომსახურება გაწეულია და ანგარიში წარდგენილია პაციენტისთვის.
- ii. პაციენტის სადაზღვევო პოლისის მიერ დაფარული მკურნალობის ღირებულება აღიარებულია შემოსავლის სახით, როდესაც სამედიცინო მომსახურება სრულად გაეწია პაციენტს, მოხდა პაციენტის სამედიცინო ჩანაწერის დახურვა და არსებობს გონივრული საფუძველი, რომ ანაზღაურების მიღება მოხდება ჯანრთელობის დამზღვევი პროვაიდერისგან. სამედიცინო ჩანაწერებზე დაფუძნებით აღიარებული შემოსავალი წარედგინება:
 - პაციენტის ჯანმრთელობის დაზღვევის პროვაიდერებს, სადაზღვევო პოლისის პირობების მიხედვით; ან
 - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს, ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პოლიტიკის პირობების შესაბამისად.

შემოსავალი იჯარიდან

შემოსავალი იჯარიდან აღიარდება წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის მიხედვით.

4 ძირითადი საშალებები

ლარი	სამედიცინო აღჭურვილობა და დანადგარები	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სულ
ღირებულება			
31 დეკემბერი, 2019	5,224,515	582,168	5,806,683
მატება	223,271	8,716	231,987
კლება	(43,540)	(3,437)	(46,977)
31 დეკემბერი, 2020	5,404,246	587,447	5,991,693
მატება	1,058,379	55,173	1,113,552
კლება	(910,739)	(22,483)	(933,222)
31 დეკემბერი, 2021	5,551,886	620,137	6,172,023
დაბროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი, 2019	3,287,577	528,843	3,816,420
პერიოდის ცვეთა	773,798	59,518	833,316
კლების შედეგად ცვეთის ელიმინირება	(40,548)	(3,437)	(43,985)
31 დეკემბერი, 2020	4,020,827	584,924	4,605,751
პერიოდის ცვეთა	692,208	22,235	714,443
კლების შედეგად ცვეთის ელიმინირება	(765,951)	(21,544)	(787,495)
31 დეკემბერი, 2021	3,947,084	585,615	4,532,699
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2020	1,383,419	2,523	1,385,942
31 დეკემბერი, 2021	1,604,802	34,522	1,639,324

კომპანიის ძირითადი საშალებები არ დაგირავებულია სესხების უზრუნველსაყოფად.
ცვეთის ხარჯები დაერიცხა ადმინისტრაციულ ხარჯებს.

5 აქტივების გამოყენების უფლება

ლარი	შენიშვნები	სულ
ღირებულება		
31 დეკემბერი, 2019	4,006,322	4,006,322
31 დეკემბერი, 2020	4,006,322	4,006,322
31 დეკემბერი, 2021	4,006,322	4,006,322
დაგროვილი ცვეთა		
31 დეკემბერი, 2019	1,335,441	1,335,441
პერიოდის ცვეთა	1,335,440	1,335,440
31 დეკემბერი, 2020	2,670,881	2,670,881
პერიოდის ცვეთა	1,335,441	1,335,441
31 დეკემბერი, 2021	4,006,322	4,006,322
საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი, 2020	1,335,441	1,335,441
31 დეკემბერი, 2021	-	-

საავადმყოფოს შენობა იჯარით აღებულია შპს „Amtel Medical Properties“- ისგან, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს.
2021 წლის 31 დეკემბრისთვის გრძელვადიანი იჯარის ვადა ამოიწურა (საწყისი ვადა იყო 3 (სამი) წელი) და მას შემდეგ იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

6 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები სოციალური მომსახურების სააგენტოსგან	2,997,852	3,259,417
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებისგან	599,962	648,903
მოთხოვნები სხვა იურიდიული პირებისგან	12,070	9,726
მოთხოვნები პაციენტებისგან	6,237	6,267
	3,616,121	3,924,313
რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის	(612,578)	(322,596)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	3,003,543	3,601,717
წინასწარგაწეული ხარჯები	3,721,228	20,225
	3,721,228	20,225
სულ	6,724,771	3,621,942

ყველა თანხა მოკლევადიანია. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას.

მოთხოვნის დაფარვის საშუალო პერიოდია 56 დღე (2020: 119 დღე). სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესადარის პერიოდებში გადახდილ იქნა გაუფასურების მაჩვენებლების შესაბამისად.

კომპანიამ 365 დღეს გადაცილებული მოთხოვნები მთლიანად ჩართო გაუფასურების რეზერვში. მოთხოვნების მოცულობა რომელიც გადაცილებულია 365 დღეს არის 612,578 ლარი, მოთხოვნები კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან 576,332 ლარი (2020: 322,596 ლარი, საიდანაც მოთხოვნები კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან არის 322,596 ლარი).

შენიშვნა 17(ბ) მოიცავს საკრედიტო რისკებთან დაკავშირებულ და სავარაუდო საკრედიტო ზარალის შესახებ ინფორმაციას. მიმდინარე და შესადარისი პერიოდისთვის, გამოიყენება ფასს 9 -ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არსებობდა რეზერვები საეჭვო დებიტორული დავალიანების ან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ.

იხილეთ შენიშვნა 17 (ა) იმ ვალუტებზე, რომლებშიც დენომინირებულია სავაჭრო მოთხოვნები.

7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	302	4,933
ფული საბანკო ანგარიშებზე	2,693,552	1,635,435
	2,693,854	1,640,368

8 კაპიტალი და რეზერვები

8.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი ნომინალური ღირებულება შეადგენს 39,277 ლარი (2020: 39,277 ლარი), რომელიც ეკუთვნის ამტელ ჰოლდინგ სინგაპურს (Amтел Holdings Singapore Pte Ltd, Singapore).

9 სესხები

ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
არაუზრუნველყოფილი სახელმწიფო სესხი	-	-	41,547	36,560
	-	-	41,547	36,560

გრძელვადიანი სესხების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება ეფუძნება ფულადი ნაკადების დისკონტირებას 12.84% -იანი განაკვეთით სახელმწიფო სესხებისთვის (2020: 12.84%).

უცხოური ვალუტის რისკებზე კომპანიის ზემოქმედების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ 17 (ა) პუნქტი.

2021 და 2020 წლის სესხების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

არაუზრუნველყოფილი სახელმწიფო სესხები	ძირითადი თანხა		ორიგინალი		მიღების თარიღი	ხელშეკრულების(%) წლიური	ეფექტური განაკვეთი (%) წლიური	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	ლ	ლი	ვალუტაში	ვალუტა				ძირითადი	დარცხული პროცენტი
Tranche 1	133,012	GEL	23-Jul-14	23-Jul-34	0%	12.84%		14,210	22,863
Tranche 2	22,389	GEL	12-Nov-14	23-Jul-34	0%	12.85%		1,789	2,685
								15,999	25,548

არაუზრუნველყოფილი სახელმწიფო სესხები	ძირითადი თანხა		ორიგინალი		მიღების თარიღი	ხელშეკრულების(%) წლიური	ეფექტური განაკვეთი (%) წლიური	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	ლ	ლი	ვალუტაში	ვალუტა				ძირითადი	დარცხული პროცენტი
Tranche 1	133,012	GEL	23-Jul-14	23-Jul-34	0%	12.84%		14,210	18,413
Tranche 2	22,389	GEL	12-Nov-14	23-Jul-34	0%	12.85%		1,789	2,148
								15,999	20,561

არაუზრუნველყოფილი სახელმწიფო სესხები

კომპანიის საჯარო დებიტორული დავალიანება მოიცავს შპს "არქიმედეს გლობალ ჯორჯია სს"-სგან მისაღებ 472,267,373 ლარს (2020: 515,590 ლარი), რომელიც 2011 წელს წარმოიშვა. მოცემული სადაზღვევო კომპანია ლიკვიდაციის პროცესშია და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები ვადაგადაცილებულია 365 დღეზე მეტი ხნით. საქართველოს მთავრობის 309-ე დადგენილების "სამედიცინო დაწესებულებების უწყვეტი ფუნქციონირების შესახებ" და საქართველოს კანონის "ფინანსური მხარდაჭერა სამედიცინო დაწესებულებებს უწყვეტი სამედიცინო მომსახურების გასაწევად" მიხედვით (პროგრამის კოდი # 35 03 06), კომპანიამ მიიღო გრძელვადიანი უპროცენტო სესხი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან 155,401 ლარის ოდენობით, რომელიც ასევე განიხილება, როგორც ფინანსური მხარდაჭერა დაუბრუნებადი მოთხოვნებისთვის. სესხის ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის 23 ივლისს. სესხის მიღება მოხდა ორი ტრანშის სახით, რომლის დაფარვის ვადაა 2034 წლის 23 ივლისი.

დაფარვის რეჟიმი და სესხის გრაფიკი დაფუძნებულია შედმეგი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე:

- 1.თუ სამედიცინო სადაზღვევო კომპანია "არქიმედეს გლობალ ჯორჯია" სრულად დააბრუნებს არსებულ ვალს, მაშინ კომპანია სრულად დაუბრუნებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სესხის საბალანსო ნაშთს, "არქიმედი გლობალ ჯორჯია" –დან თანხის მიღებიდან 30 დღის ვადაში.
2. თუ სამედიცინო სადაზღვევო კომპანია "არქიმედეს გლობალ ჯორჯია" არ გადაიხდის არსებულ დავალიანებას, მაშინ კომპანია ვალდებულია მთლიანად გადაიხადოს სესხი, სასესხო ხელშეკრულების მიხედვით იმ ვადაში რაც განსაზღვრულია სასესხო ხელშეკრულებაში.
- 3.თუ სამედიცინო სადაზღვევო კომპანია "არქიმედეს გლობალ ჯორჯია" დაფარავს დავალიანებას ნაწილობრივ, კომპანია ვალდებულია სესხის დაფარვა დაიწყოს მოვალისგან ნაწილობრივი გადახდის დაწყებიდან 15 წლის შემდეგ. სესხის გადახდა უნდა მოხდეს 5 წლის განმავლობაში თანაბარი ყოველთვიური შენატანებით.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამედიცინო სადაზღვევო ჯგუფ "არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ" გადაიხდა 24,162 ლარი, რა შემთხვევაზე აღწერილია ზემოთ მოყვანილი პირობებიდან მესამეში. აქედან გამომდინარე, სესხის დაიფარვა დაიწყება 2029 წლის აგვისტოდან 5 წლის განმავლობაში, ყოველთვიურად თანაბარი გადახდებით. სესხი აღიარებულ იქნა სამართლიანი ღირებულებით, რომელიც გამოთვლილია, მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით,

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 13.68%-ის გამოყენებით. სხვაობა სესხის სამართლიან ღირებულებას და საბალანსო ღირებულებას შორის 2014 წელს მთავრობის გრანტიდან მიღებულ შემოსავლად აღიარეს. შემდგომი გადახდა განხორციელდა, სამედიცინო სადაზღვეო ჯგუფ "არქიმედეს გლობალ ჯორჯია"-ს მიერ:

- 2016 წელს 23,910 ლარი
- 2018 წელს 23,857 ლარი
- 2019 წელს 28,833 ლარი
- 2020 წელს 23,783 ლარი
- 2021 წელს 23,701 ლარი

ამგვარი შემდგომი გადახდები მოვალისგან არ ახდენს გავლენას ან ცვლის სესხის პირობებს პირველი გადახდის შემდეგ.

10 იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	-	1,244,577
გრძელვადიანი	-	-
	-	1,244,557

კომპანიას აქვს იჯარით აღებული შენობები. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. (შენიშვნა 5)

ჩვეულებრივ, ყველა საიჯარო ხელშეკრულება ზღუდავს საიჯარო ფართის ქვეიჯარით გაცემის შესაძლებლობას, თუკი არ არის კონკრეტულად ჩანაწერი რომ კომპანიის შეუძლია ფართის გაცემა ქვეიჯარით. იჯარის ხელშეკრულებები არის ან შეწყვეტის უფლების გარეშე, ან შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვანი ჯარიმის გადახდით. ზოგიერთი საიჯარო ხელშეკრულება მოიცავს იჯარის ვადის გაგრძელების ოფციასაც.

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად

კომპანიამ გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვიანი ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარ საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ხარჯები, დაკავშირებული ისეთ საიჯარო გადახდებთან, რომლებიც არ ჩაირთვება საიჯარო ვალდებულებებში, შემდეგია:

ლარი	2021 წელი	2020 წელი
დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარა	-	267

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	13,333	880,931
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	892,572	924,136
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ	45,062	102,150
სხვა	21,668	48,829
	972,635	1,956,046

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 17(ა) (კომპანიის შესახებ) კომპანიის მიერ უცხოური ვალუტის რისკის შესახებ.

12 საპროცენტო ხარჯები

ლარი	2021 წელი	2020 წელი
სესხებზე საპროცენტო ხარჯი:	30,346	49,212
იჯარის ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	83,223	227,729
მთლიანი საპროცენტო ხარჯი	113,569	276,941

13 მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

ლარი	2021 წელი	2020 წელი
სესხები და მოთხოვნები	(88,587)	65,265
ფინანსური ვალდებულებები აღიარებული ამორტიზირებული ღირებულებით	967	(14,050)
მთლიანი საკურსო მოგება/(ზარალი)	(87,620)	51,215

14 მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი	2021 წელი	2020 წელი
მიმდინარე გადასახადი	337	30,531
	337	30,531

მიმდინარე გადასახადი დაკავშირებულია პროდუქტის/მომსახურების უსასყიდლოდ გაცემასთან.

2017 წლის 1 იანვრიდან, კომპანიები იხდიან მოგების გადასახადს პირებზე დივიდენდად განაწილებულ მოგებაზე და ისეთ ოპერაციებზე, რომლებიც დაკავშირებულია მოგების არაპირდაპირ მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები და ხარჯები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). აღნიშნული ცვლილების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და მათ საგადასახადო ბაზას შორის. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადი.

15 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასების პროცესში და დაფუძნებულია ისტორიულ გამოცდილებაზე. ამასთან, გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავლის მოვლენები და მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

15.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული საადრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

სესხის საბაზრო საპროცენტო განაკვეთი და სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა. მენეჯმენტმა გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების შესახებ. შედარება დგინდება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა უზრუნველყოფა, ხანგრძლივობა, ვალუტა, მრეწველობა და მსესხებლის სექტორი.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებები მათი საბალანსო ღირებულების მიახლოებულია.

16 ფინანსური ინსტრუმენტები

16.1 მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკა

საადრიცხვო პოლიტიკები და მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7-ში.

16.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,003,543	3,601,717
ფული და ფულის ექვივალენტები	2,693,854	1,640,368
სულ ფინანსური აქტივები	5,697,397	5,242,085

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სამორტიზაციო ღირებულება:		
სესხები	41,547	36,560
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	927,573	1,853,896
სულ ფინანსური ვალდებულებები	969,120	1,890,456

17 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. რისკების ძირითადი ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია აქტიურად არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არც ოფციონებს უშვებს. ძირითადი რისკები, რომლებიც ფინანსურ აქტივებთანაა დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს ფინანსური ინსტრუმენტების და კონკრეტულად კი სავალუტო რისკს, რომელიც მისი საოპერაციო საქმიანობიდან წარმოიშობება.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს ვალუტის კურსის ცვლილებებიდან წარმოშობილი რისკები.

კომპანიის ოპერაციათა უმეტესობა ხორციელდება ლარში. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოშობილია კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში, უმეტესად კი დოლარში, საზღვარგარეთიდან შესყიდვების შედეგად.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო რისკს უქმნიან, წარმოდგენილია ქვემოთ. თანხები ლარში გადაყვანილია წლის ბოლოს არსებული კურსით:

ერთეული		
2021 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	58,509	136,905
	58,509	136,905
წმინდა პოზიცია	58,509	136,905

ერთეული		
2020 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,974	-
ფული და ფულის ექვივალენტები	507,600	127,656
	512,574	127,656
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,605	-
	5,605	-
წმინდა პოზიცია	506,969	127,656

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მოგრძობელობას 15%-იან (2020:15%) კლება/მატების გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე ლარის დოლარისა და ევროს მიმართ. 15% (2020: 15%) არის უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება. მოგრძობელობის ანალიზი მოიცავს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების ანალიზს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2020: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ სხვა ვალუტებთან მიმართებაში გამყარებულიყო 15%-ით (2020: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2021	2020	2021	2020
მოგება ან ზარალი	8,776	76,045	20,536	19,148

სავალუტო კურსის ცვლილებიდან წარმოშობილი რისკის დონე დამოკიდებულია წლის განმავლობაში უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების მოცულობაზე, ამის მიუხედავად, ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მიიჩნევა კომპანიის სავალუტო რისკის მიახლოებით შეფასებად.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რაც გამოიწვევს ფინანსურ ზარალს კომპანიისათვის. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებიდან, მათ შორის ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებიდან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება ინდივიდუალურად, კომპანიის საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე.

ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე და დეპოზიტებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციით, რომლებიც მხოლოდ ძლიერ და კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში არის განთავსებული. კომპანია არ ფლობს რაიმე დაცვას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსების დაცვისათვის. გარდა ამისა, კომპანია არ ფლობს გირაოს რომელიც ეხება ფინანსურ აქტივებს (მაგ: ფულს და ფულად ექვივალენტებს რომელიც განთავსებულია ბანკში).

კომპანია არ ფლობს რაიმე დაცვას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსების დაცვისათვის.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მიღებული საკრედიტო ზარალისათვის ყველა სავაჭრო მოთხოვნაზე და ამ ერთეულებს არ აქვთ მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტი.

მოსალოდნელი ზარალის განაკეთი დაფუძნებულია გადახდების პროფილზე მომსახურების გაყიდვიდან გასული ერთი წლის განმავლობაში, როგორც ამავე პერიოდის შესაბამისი ისტორიული საკრედიტო დანაკარგები.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება როდესაც არ არის გონივრული მოლოდინი მათი დაბრუნებისა. თუ გადახდა დაგვიანდა ინვოისის გამოწერის თარიღიდან 365 დღეზე მეტით, ასევე ვერ მოხერხდა ალტერნატიული გზებით თანხის ამოღება, მაშინ ხდება აღნიშნული მოთხოვნიდან მოსალოდნელი ზარალის გაანგარიშება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის განსაზღვრულია:

2021 წლის 31 დეკემბერი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
6 თვეზე ნაკლები	-	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1 წელზე მეტი	100%	(612,578)	(612,578)
		(612,578)	(612,578)

2020 წლის 31 დეკემბერი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
6 თვეზე ნაკლები	-	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1 წელზე მეტი	100%	(322,596)	(322,596)
		(322,596)	(322,596)

სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის საბოლოო ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის რეკონსილირებული სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის საწყის ბალანსებთან ერთად შემდეგია:

ლარი	2021	2020
ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	322,596	1,122,997
ზარალის რეზერვი აღიარებული წლის განმავლობაში	289,982	-
დებიტორული დავალიანება, რომელიც წინა პერიოდში აღიარებულია რეზერვში, ხოლო მიმდინარე პერიოდში ჩამოწერილია როგორც უიმედო ვალეები	-	(800,401)
ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	612,578	322,596

ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს კრედიტორების მიმართ.

კომპანია ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით ფრთხილ პოლიტიკას ახორციელებს, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდებს. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების დასაფარად საჭირო არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, იმ უახლოესი თარიღებისთვის, როდესაც შეიძლება კომპანიისგან მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს:

2021 ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	ფინანსური იჯარის ვალდებულ ებები	სულ
		12,84%	10.30%	
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი(%)				
6 თვეზე ნაკლები	927,573			927,573
6 თვიდან 1 წლამდე				
1-5 წლამდე		155,401		155,401
5წელზე მეტი				
	927,573	155,401	-	1,082,974

2020 ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	ფინანსური იჯარის ვალდებულ ებები	სულ
		12.84%	10.30%	
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი(%)				
6 თვეზე ნაკლები	1,853,896		549,000	2,402,896
6 თვიდან 1 წლამდე			778,800	778,800
1-5 წლამდე		155,401		155,401
5წელზე მეტი				
	1,853,896	155,401	1,327,800	3,337,097

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოზიდვას ფინანსური აქტივებიდან ლიკვიდურობის რისკის, განსაკუთრებით მისი ფულადი სახსრებისა და სავაჭრო დებიტორული დავალიანების შეფასებისა და მართვის პროცესში. კომპანიის ფულადი სახსრები და სავაჭრო მოთხოვნები აღემატება ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე მოთხოვნებს.

18 სამართლიანი ღირებულებით შეფასება

თავდაპირველი აღიარების შემდგომ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზისას, კომპანია აჯგუფებს მათ 3 ჯგუფად, იმის მიხედვით რა დონეზე ეფუძნება მათი სამართლიანი ღირებულება თავისუფლად ხელმისაწვდომ დაკვირვებად მონაცემებს. თითოეული დონე განხილულია ქვემოთ:

კომპანია უზრუნველყოფს ანალიზს მისი აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ, რომლებიც ან იზომება რეალური ღირებულებით თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ან რისთვისაც ხდება სამართლიანი ღირებულების გამჭლავება. კომპანია მონაცემები აჯგუფებს 1 -დან მე -3 დონემდე, იმის მიხედვით რა დონეზე ეფუძნება მათი სამართლიანი ღირებულება თავისუფლად ხელმისაწვდომ დაკვირვებად მონაცემებს. თითოეული დონე განხილულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის.
- დონე 2- სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- დონე 3- სამართლიანი ღირებულების შეფასება დამოკიდებულია შეფასების ტექნიკებზე, სადაც იყენებენ ისეთ მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ბაზარზე ღიად დაკვირვებად მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

18.1 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც გამჟღავნებულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მიმდინარე ფულადი ნაკადების დისკონტირებით შესაბამისი საბაზრო განაკვეთით მსგავსი ინსტრუმენტებისთვის. ამიტომ ყველაზე ნიშნავლიანი მონაცემი სწორედ დისკონტის განაკვეთია. ზემოთ აღნიშნული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებული იქნება ქვემოთ მოცემული ღონეებიდან შესაბამისად.

19 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება საწესდებო კაპიტალისგან და აკუმულირებული მოგებისაგან.

კომპანიის ხელმძღვანელობა აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს.

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
<i>წმინდა სესხები</i>		
სესხები	41,547	36,560
გამოკლებული: ფული სალაროში და საბანკო ანგარიშებზე	(2,693,854)	(1,640,368)
	(2,652,307)	(1,603,808)
<i>კორექტირებული კაპიტალი</i>		
მთლიანი კაპიტალი	10,438,916	5,156,342
<i>წმინდა სესხების ფარდობა კორექტირებულ კაპიტალთან</i>	(0.25)	(0.31)

20 გაუთვალისწინებელი გარემოებები

20.1 დაზღვევა

კომპანიას დაზღვეული აქვს მის ქონებასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკები, რაც მოიცავს ქონების დაზღვევას, მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის დაზღვევას, ბიზნესის შეწყვეტის დაზღვევას და მესამე პირთა მიმართ ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევას. კომპანიას სადაზღვევო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს საიმედო და კარგი რეპუტაციის მქონე სადაზღვევო კომპანიებთან, რომელთა ფინანსური სტაბილურობაც დადასტურებულია წარსული გამოცდილებით და მათი მიმდინარე მდგომარეობის ანალიზით (მათი ფინანსური ანგარიშები და სხვა სტატისტიკური ინფორმაცია ღიადაა ხელმისაწვდომი). კომპანიის რისკის მართვის ეს ინსტრუმენტი, საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ან მნიშვნელოვნად იქნას შემცირებული დაზღვეული რისკების მატერიალიზების შემთხვევაში წარმოქმნილი ფინანსური ზარალი.

20.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ გადმოცემული განმარტებები განსხვავდება ერთმანეთისგან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან კანონით დაარსებულ ჯარიმები და საურავები. ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, საგადასახადო ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან განმარტებებისადმი განსხვავებულმა მიდგომებმა შესაძლოა, კომპანიაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს.

20.3 ბიზნეს გარემო

საქართველო აგრძელებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველოს არ გააჩნია განვითარებული ბიზნეს და მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად არსებობს უფრო მსხვილ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში. გარდა ამისა, ეკონომიკური პირობები ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე აქტივობის მოცულობას, რაც შესაძლოა არ ასახავდეს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებს. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლება არის ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების დაბალი დონე, ცენტრალიზებული ეკონომიკური ბაზა, რეგიონული არასტაბილურობა და საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი.

21 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

კომპანიის ვალდებულებებში ცვლილება ფინანსური აქტივობებიდან კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

ლარი	მოკლევადი ნი სესხები	გრძელვადი ნი სესხები	იჯარა	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	452,530	32,173	2,976,848	3,461,551
ფულადი ოპერაციები				
ძირის გადახდა	(778,644)	-	(1,732,271)	(2,510,915)
სესხის აღება	318,650	-	-	318,650
პროცენტის გადახდა	(47,772)	-	(227,729)	(275,501)
არაფულადი ოპერაციები				
დარიცხული პროცენტი	47,087	2,123	227,729	276,939
რეკლასიფიკაცია	(2,264)	2,264	-	-
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	10,413			10,413
2020 წლის 31 დეკემბერი	-	36,560	1,244,577	1,281,137
ფულადი ოპერაციები				
ძირის გადახდა	(1,000,050)	-	(1,244,577)	(2,244,627)
სესხის აღება	1,000,050	-	-	1,000,050
პროცენტის გადახდა	(25,359)	-	(83,223)	(108,582)
არაფულადი ოპერაციები	-	-		
დარიცხული პროცენტი	25,359	4,987	83,223	113,569
2021 წლის 31 დეკემბერი	-	41,547	-	41,547

22 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს მიეკუთვნება მშობელი კომპანია, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვები, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

22.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის 100% -იანი მფლობელი არის ამტელ ჰოლდინგს სინგაპურ პაივეტ ლიმიტედ (Amtel Holdings Singapore Pte Ltd, Singapore). კომპანიის მთავარი მაკონტროლებელი პირები არიან ბატონი სულჰირ გუფთა და ბატონი დანიელ გუფთა.

22.2 დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და საანგარიშგებო პერიოდისთვის ჰქონდა შესაბამისი ნაშთები:

ლარი		
ტრანზაქციები	2021 წელი	2020 წელი
დედა კომპანია		
საპროცენტო ხარჯის აღრიცხვა	-	20,477
გადახდილი პროცენტი	-	(20,477)
გადახდილი სესხი	-	(318,650)
გაცემული სესხები	-	318,650
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები		
მომსახურების შეძენა	632,395	415,159

ლარი		
ნაშთები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები		
აქტივების გამოყენების უფლება	-	1,335,441
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,304,833	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	300,172	300,172
საიჯარო ვალდებულებები	-	1,244,577

22.3 ოპერაციები ხელმძღვანელობასთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა სარგებელში, მოცემულია ქვემოთ:

ლარი		
	2021 წელი	2020 წელი
ხელფასები და ბონუსები	167,739	142,969

23 შემდგომი მოვლენები

23.1 შერწყმა

2022 წლის 31 იანვარს ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური და ამტელ მედიკალ ფროფერტი, Amtel Holdings Singapore Private Limited-ისგან შეისყიდა ჯი ედნ ეიჩ ჰოსპიტალებმა 405504226 (დირექტორი და 100% მფლობელი ვახტანგ ჭეიშვილი)

2022 წლის 10 მაისს ამტელ მედიკალ ფროფერტი შეერწყა მშობელ კომპანიას ამტელ ჰოსპიტალ პირველ კლინიკურს.

2022 წლის 16 აგვისტოს შპს ჯეო ჰოსპიტალს-მა შეისყიდა ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური-ს 100% წილი ჯი ედნ ეიჩისგან. ასევე, შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური“-ს მშობელი კომპანიისგან მიღებული აქვს სესხი, რომლის მოცულობაც წილის ნასყიდობის თარიღისთვის შეადგენს 2,321,925 ევროს (სესხის ძირი და საპროცენტო ვალდებულება). დამატებითი შეთანხმების მიხედვით წილის ნასყიდობისას მოხდა შპს „ჯეო ჰოსპიტალს“-ის სასარგებლოდ გაცემულ სესხზე მოთხოვნის დათმობა.

23.2 რუსეთ-უკრაინის ომი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ჯარებმა დაიწყეს უკრაინაში შეჭრა. მიმდინარე სამხედრო თავდასხმას მოჰყვა მნიშვნელოვანი მსხვერპლი, მოსახლეობის დისლოკაცია, ინფრასტრუქტურის დაზიანება და ეკონომიკური აქტივობის შეფერხება უკრაინაში.

ომი უკრაინაში და მასთან დაკავშირებული მოვლენები ხდება მნიშვნელოვანი გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობისა და მერყეობის დროს და ეფექტები, სავარაუდოდ, ურთიერთქმედებს და გააძლიერებს მიმდინარე ბაზრის ეფექტებს. ბევრი სექტორი/იურისდიქცია უკვე განიცდის სასაქონლო ფასების ზრდისა და ნედლეულის გაზრდილი ხარჯების გავლენას, რაც გამოწვეულია მომხმარებელთა მოთხოვნის ზრდის შედეგად COVID-19 პანდემიის შემსუბუქების გამო. მიწოდების ჯაჭვის შეფერხებები, რომლებიც წარმოიქმნება პანდემიის ეფექტებიდან, გრძელდება და ძლიერდება მუშახელის დეფიციტისა. ეს პირობები შეიძლება მნიშვნელოვნად გამწვავდეს უკრაინაში ომის ფართო ეფექტებით, გაზრდილი ინფლაციური ზეწოლა და გლობალური პოსტპანდემიური აღდგენის შესუსტება.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ უკრაინაში სამხედრო კონფლიქტის გავლენა, რომელიც დაიწყო 2022 წლის თებერვლის ბოლოს, არ არის მნიშვნელოვანი ან კრიტიკული.

შპს „ამტელ ჰოსპიტალი პირველი კლინიკური“

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა	3
საქმიანობის აღწერა	3
მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის ბაზრის მიმოხილვა.....	4
ორგანიზაციული სტრუქტურა	5
განვითარების გეგმები	5
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	6
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება).....	7
სოციალური პასუხისმგებლობა	8
ძირითადი რისკები	8
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	9
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	9

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

საქმიანობის აღწერა


შპს „ამტელ ჰოსპიტალი პირველი კლინიკური“ მისიაა იზრუნოს თითოეული პაციენტის ჯანმრთელობაზე, შეუქმნას მათ კომფორტი და მუდმივად მიაწოდოს მაღალხარისხიან სამედიცინო მომსახურება.

„ამტელ ჰოსპიტალი პირველი კლინიკურში“ (შემდგომში „ამტელ ჰოსპიტალი“) ფუნქციონირებს 21 განყოფილება, მათ შორის 7 პედიატრიის მიმართულებით. ყველა განყოფილება აღჭურვილია თანამედროვე აპარატურითა და ინვენტარით. სტაციონარი გათვლილია 200 საწოლზე, აქედან 65 საწოლი ბავშვთა პროფილისაა. 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულია 414 თანამშრომელი.

ამტელ ჰოსპიტალი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აფელირებული ჰოსპიტალია, რომელშიც ათობით სტუდენტი და რეზიდენტი გადის პრაქტიკას.

2021 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ ჯამურად გაწეული სერვისების რაოდენობა შეადგენს 169,149 მათ შორის 29,425 იყო გეგმიური ამბულატორიული და 139,724 სტაციონარული სერვისი.

2020 წელს ჯამურად გაწეული სერვისების რაოდენობა იყო 120,303, მათ შორის 12,858 იყო გეგმიური ამბულატორიული და 107,445 სტაციონარული სერვისი.



საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს ამტელ ჰოსპიტალის ძირითადი შემოსავლის არხს, რომელშიც კომპანია პროგრამის დაწყების დღიდანვე არის ჩართული. პროგრამის პირველი ეტაპი დაიწყო 2013 წლიდან, რაც გულისხმობდა ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე მოსახლეობის მოცვას მინიმალური პაკეტით. პროგრამის მეორე ეტაპზე გაიზარდა პროგრამული სამედიცინო სერვისების მოცულობა (ბაზისური პაკეტი). 2014 წლიდან პროგრამაში ინტეგრირდა მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის პროგრამები.

ამტელ ჰოსპიტალი არ არის ჩართული საყოველთაო დაზღვევის გეგმიური ამბულატორიის ნაწილში. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს დაფინანსება ხდება სტაციონარულ დადგენილი ტარიფებით, ლიმიტებით ან ფაქტიური ღირებულების მიხედვით.

მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის ბაზრის მიმოხილვა

ჯანმრთელობის დაცვის ბაზარი საქართველოში საკმაოდ კონკურენტულია, ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 268 ჰოსპიტალური სამედიცინო დაწესებულება საერთო საწოლ ფონდით 20 600¹, ამტელ ჰოსპიტალის პროცენტული წილი მთლიან საწოლ ფონდში არის 1.09%.

2019 წლის ბოლოს, გავრცელებული კორონა ვირუსი (COVID-19) კვლავ აქტიური იყო 2021 წლის განმავლობაში. საქართველოს მასშტაბით, ათეულობით კლინიკა გადაკეთდა კოვიდ სტაციონრად. ამტელ ჰოსპიტალიც 2020 წლის 21 სექტემბრიდან სრულად გადაერთო კოვიდთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდების კლინიკად, რაც 2021 წლის ბოლომდე გაგრძელდა.

ამტელ ჰოსპიტალი ოპერირებს მაღალ კონკურენტულ ბიზნეს გარემოში. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია ცდილობს უზრუნველყოს სამედიცინო და არასამედიცინო სერვისების მაქსიმალურად ფართო არჩევანის მიწოდება, ამასთან პაციენტისათვის კომფორტის შექმნის მიზნით, მომსახურება განხორციელდეს „ერთი ფანჯრის პრინციპით“.


საქართველოში არსებული საბაზრო მდგომარეობიდან გამომდინარე სამედიცინო დაწესებულებებისთვის არსებობს 3 ძირითადი შემოსავლის არხი:

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა
- სადაზღვევო კომპანიები
- თვითდინება - შიდა სტანდარტი

საქართველოს ჯანდაცვის ბაზრის ძირითადი შემოსავალი უზრუნველყოფილია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. შესაბამისად, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლინიკების ფინანსურ მაჩვენებლებზე.

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, ჯანმრთელობის დაცვის მაჩვენებლები, 29.07.2022

ორგანიზაციული სტრუქტურა



განვითარების გეგმები

პოსტკოვიდური ფაზის განმავლობაში იგეგმება შემდეგი სერვისების განვითარება:


- მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული სამკურნალო და დიაგნოსტიკური მომსახურების სპექტრის გაფართოება.
- მაღალტექნოლოგიური სერვისების განვითარება, როგორცაა ტრანსპლანტაცია, პლასტიკური ქირურგია და სხვა.
- ქვეყნის წამყვანი სპეციალისტებით დაკომპლექტებული ტელემედიცინის ცენტრი.

ასევე, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით საქმიანობის კიდევ უფრო გაფართოვდება. ამოქმედდება სამედიცინო მომსახურების ხარისხის ეფექტური სისტემა, რაც ხელს შეუწყობს ქსელის სამედიცინო დაწესებულებების მიერ ხარისხის გარე შეფასების სკემებში მონაწილეობას და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გაძლიერებას.



მომსახურების ხარისხის მაჩვენებლის ზრდისთვის იგეგმება თანამშრომლების გადამზადება როგორც სამედიცინო, ისე ადმინისტრაციული კუთხით, რაც მოიცავს ტრენინგებს/კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებების მოწყობას.

სამედიცინო სფეროში მეტად მნიშვნელოვანია როგორც ტექნოლოგიური, ისე ინტელექტუალური რესურსის მუდმივი განვითარება, ამიტომ იგეგმება მძლავრი სასწავლო სივრცის შექმნა დიპლომამდელი, დიპლომის შემდგომი და უწყვეტი განათლების პროგრამების ინტეგრირების საშუალებით.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები



2021 წლის განმავლობაში ამტელ ჰოსპიტალი ჩართული იყო Covid 19-ის მართვის სახელმწიფო პროგრამაში. პანდემიის სიმძიმიდან გამომდინარე, დაწესებულებებს მაღალი დატვირთულობით უწევდათ მუშაობა მთელი წლის განმავლობაში, შესაბამისად გაიზარდა შემოსავალი სამედიცინო საქმიანობიდან.



ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

	2020	2019
სამუშაო კაპიტალი	8,835,639	2,464,263
ლიკვიდობის კოეფიციენტი	10.08	1.77
ლიკვიდობის კოეფიციენტი (მარაგების გარეშე)	9.68	1.63
EBITDA-ს მარჟა	35%	25%

ამტელ ჰოსპიტალის 2021 წლის სამუშაო კაპიტალი და ლიკვიდურობის კოეფიციენტი საგრძნობლად გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით. კომპანიის აქტივები, მათ შორის მიმდინარე გაიზარდა კარგი საოპერაციო შესრულების შედეგად, მეორეს მხრივ სავაჭრო ვალდებულებები ჩაიფარა დროულად და თითქმის ორჯერ შემცირდა. გარდა ამისა, სამედიცინო მომსახურების შემოსავლების ზრდის მიუხედავად პირდაპირპროპორციულად არ გაზრდილა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, შესაბამისად EBITDA მარჟის გაუმჯობესდა 25%-დან 35%-მდე.

- ❖ **სამუშაო კაპიტალი** = მიმდინარე აქტივები-მიმდინარე ვალდებულებები.
- ❖ **ლიკვიდობის კოეფიციენტი** = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები. ეს ინდიკატორი მიუთითებს თუ რამდენად მზად არის კომპანია არსებული მიმდინარე რესურსებით დაფაროს არსებული მიმდინარე ვალდებულებები.
- ❖ **სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი (მარაგების გარეშე)** = (მიმდინარე აქტივები - მარაგები)/ მიმდინარე ვალდებულებები. ეს კოეფიციენტიც არის ლიკვიდურობის მაჩვენებელი, რომელიც არ ითვალისწინებს მარაგებს, რადგან მარაგები მიმდინარე აქტივებში ყველაზე არალიკვიდური აქტივია.
- ❖ **EBITDA-ს მარჟა** = EBITDA/ამონაგები. უჩვენებს საოპერაციო მომგებიანობას

სოციალური პასუხისმგებლობა

ამტელ ჰოსპიტალი თანამშრომლებს სთავაზობს უსაფრთხო სამუშაო გარემოს, ასევე ზრუნავს მათ ჯანმრთელობაზე და ყველა თანამშრომელს სთავაზობს კერძო კორპორატიულ სადაზღვევო სქემაში ჩაბმას.

დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფისა და ინფექციის კონტროლის შიდა სისტემები, რომლის განახლება და მუდმივი მონიტორინგი ხორციელდება ხარისხის სამსახურის მიერ.

ძირითადი რისკები

ამტელ ჰოსპიტალის რისკ გარემოებებს წარმოადგენენ შემდეგი საკითხები:

1. საკანონმდებლო ბაზის ხშირი ცვლილებები

კომპანია 2013 წლიდან მონაწილეობს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში. პროგრამაში მონაწილეობა ზოგადად ხორციელდება განაცხადის შევსების საფუძველზე, რომელიც კომპანიას ავტომატურად ავალდებულებს დაეთანხმოს და შეასრულოს ნორმატიულ ბაზაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება. ცვლილებები ხორციელდება მთელი რიგი მიმართულებებით:

- ადმინისტრირების წესების;
- სერვისების განფასების;
- სერვისების დაფარვების;
- დოკუმენტრუნვის;
- ელექტრონული საინფორმაციო სისტემების უზრუნველყოფის;
- და სხვა.

აღნიშნულ ცვლილებებზე კომპანიამ ახდენს ოპერატიული რეაგირებას და ეს პროცესი ექვემდებარება მუდმივ კონტროლს.

2. მონიტორინგი სახელმწიფოს მხრიდან

მარეგულირებელი ნორმატიული სივრცის ბუნდოვანება ქმნის სახელმწიფოს მხრიდან მისაღები თანხების შემცირების დამატებით საფუძველს, სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებლის მხრიდან რევიზია/კონტროლის ეტაპზე.

3. საჯარიმო სანქციები არასამედიცინო და ტექნიკურ ხარვეზებზე

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესრულების პროცესში საკანონმდებლო ბაზით მოთხოვნილია რიგი პროცედურების ასახვა სპეციალურ ელექტრონულ პროგრამებში. ზემოთ აღნიშნულის დიდი ნაწილი არ უკავშირდება პაციენტის სამედიცინო მომსახურებას და არ ცვლის შემთხვევის შესახებ არსებით ინფორმაციას. თუმცა, ასეთი ტიპის ინფორმაციის შევსებისას დაშვებული ტექნიკური ხარვეზები იწვევს საჯარიმო სანქციების დაკისრებას.

4. ჯარიმების აღსრულების მექანიზმები

პროგრამის განმახორციელებლის მხრიდან რევიზიის და კონტროლის განხორციელების შედეგად დაკისრებული ჯარიმის აღსრულებას განმახორციელებელი იწვევს ჯარიმის დაკისრებიდან ერთ კალენდარულ თვეში, მიუხედავად იმისა, კომპანია ეთანხმება თუ არა დაკისრებულ საჯარიმო სანქციას.

5. კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.

რეგიონში, სამედიცინო ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციიდან გამომდინარე, საკმაოდ აქტუალურია ადამიანური რესურსი დეფიციტი.

6. ფინანსური რისკები

ფინანსური რისკებად განიხილება, საკრედიტო რისკი, საპროცენტო რისკი, სავალუტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ფინანსურ რისკებზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური ანგარიშგების მე-17 შენიშვნა.

7. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დიდი წილი შემოსავლებში

შემოსავლები არხების მიხედვით არ არის დივერსიფიცირებული, კომპანიის შემოსავლების დიდი ნაწილი არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან, რაც ნიშნავს რომ ძირითადი შემოსავლის წყარო არის სახელმწიფო პროგრამა.

რისკების მართვა

ზემოთ ჩამოთვლილი საოპერაციო რისკების სამართავად კომპანია იყენებს სხვადასხვა გზებს. სახელმწიფო პროგრამის ნორმატიული ბაზით განსაზღვრული წესების დაცვისა და მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, კომპანიაში შექმნილია არაერთი სტრუქტურული რგოლი:

- ფინანსური მართვის სამსახური
- ხარისხის მართვის სამსახური
- საოპერაციო სამსახური
- კლინიკური სამსახური

ზემოთ ჩამოთვლილი სამსახურები უზრუნველყოფენ კლინიკების საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთანავე, შეიმუშავენ მთელ რიგ სახელმძღვანელო მითითებებსა (მ.შ. გაიდლაინები, პროტოკოლები, სტანდარტული ოპერაციული პროცედურები) და ინსტრუმენტებს, რათა მათი საქმიანობა იყოს უსაფრთხო და ხარისხიანი. აღნიშნული ასევე მოიცავს, ინსპექტირებისა და რევიზია/კონტროლის ეტაპებზე გამოვლენილი ხარვეზებისა და მათ გამო პროგრამის განმახორციელებლის მიერ მოსალოდნელი საჯარიმო სანქციების სხვა კლინიკებზე გავრცელებას.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები არის მენეჯმენტის შეფასებით სრული, ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები აღარ საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

უფლებამოსილი წარმომადგენელი _____ ზ. ქიტოშვილი

მთავარი ბუღალტერი _____ ზ. ზაქარეიშვილი

6. ფინანსური რისკები

ფინანსური რისკებად განიხილება, საკრედიტო რისკი, საპროცენტო რისკი, სავალუტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ფინანსურ რისკებზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური ანგარიშგების მე-17 შენიშვნა.

7. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დიდი წილი შემოსავლებში

შემოსავლები არხების მიხედვით არ არის დივერსიფიცირებული, კომპანიის შემოსავლების დიდი ნაწილი არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან, რაც ნიშნავს რომ ძირითადი შემოსავლის წყარო არის სახელმწიფო პროგრამა.

რისკების მართვა

ზემოთ ჩამოთვლილი საოპერაციო რისკების სამართავად კომპანია იყენებს სხვადასხვა გზებს. სახელმწიფო პროგრამის ნორმატიული ბაზით განსაზღვრული წესების დაცვისა და მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, კომპანიაში შექმნილია არაერთი სტრუქტურული რგოლი:

- ფინანსური მართვის სამსახური
- ხარისხის მართვის სამსახური
- საოპერაციო სამსახური
- კლინიკური სამსახური

ზემოთ ჩამოთვლილი სამსახურები უზრუნველყოფენ კლინიკების საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთანავე, შეიმუშავებენ მთელ რიგ სახელმძღვანელო მითითებებსა (მ.შ. გაიდლაინები, პროტოკოლები, სტანდარტული ოპერაციული პროცედურები) და ინსტრუმენტებს, რათა მათი საქმიანობა იყოს უსაფრთხო და ხარისხიანი. აღნიშნული ასევე მოიცავს, ინსპექტირებისა და რევიზია/კონტროლის ეტაპებზე გამოვლენილი ხარვეზებისა და მათ გამო პროგრამის განმახორციელების მიერ მოსალოდნელი საჭარბო სანქციების სხვა კლინიკებზე გავრცელებას.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ


2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები არის მენეჯმენტის შეფასებით სრული, ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები აღარ საჭიროებს დამატებით განმარტებებს.


2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

უფლებამოსილი წარმომადგენელი



ზ. ქიტოშვილი

მთავარი ბუღალტერი



ზ. ზაქარეიშვილი